



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 58/00.....

„16“ ივნისი 2010

ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ჯერენაშვილი

„16“ ივნისი 2010 წელი

ეგზ. N2

ობიექტი:

ობიექტი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს 2009 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10



საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის აქტი

ობიექტი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს 2009 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 3
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 4
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.	გვ. 4
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.	გვ. 7
3. ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).	გვ. 8
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 9
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 9
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №26/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7 ტელ: 28-27-45

აუდიტის ჯგუფი - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჯერენაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი); მთავარი აუდიტორი გიორგი მელანაშვილი; უფროსი აუდიტორი მურმან დარახველიძე.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის განაწილება: პროგრამით გათვალისწინებული საკითხები შესწავლილ იქნა ერთობლივად.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება).

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შერჩევითი წესით ანალიზი.

შემოკლებანი:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (ორგანიზაციული კოდი 02 00) - ადმინისტრაცია.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებანი არ გამოვლენილა.

III. ძირითადი ტექსტი.

1. ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

1.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, როგორც მხარჯავი დაწესებულების (ორგანიზაციული კოდი: 02 00) 2009 წლის ბიუჯეტი შედგება, თავად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (ორგანიზაციული კოდი: 0201) და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ - საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს (ორგანიზაციული კოდი: 0202) ასიგნებებისაგან.

ადმინისტრაციის 2009 წლის დამტკიცებულმა ნაერთმა ბიუჯეტმა შეადგინა 14 260.5 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტების შედეგად გაიზარდა და გახდა 21 578.3 ათასი ლარი. სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის 7 317.8 ათასი ლარი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან შესაბამისი განკარგულებებით გამოყოფილ თანხებს.

(ათასი ლარი)

	2009 წლის სახ. ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული			დაზუსტებული	სხვაობა
	პირველადი სახე 30.12.08	ცვლილება 11.07.09	საბოლოო 04.12.09		
კადრების რიგზოვნობა	162	162	162	162	0
მთლიანი ასიგნება: (ორგ. კოდი: 0200)	16 000	14 460.5	14 260.5	21 578.3	7 317.8
მათ შორის:					
ასიგნება (ორგ. კოდი: 0201)	15 700	14 000	13 800	21 117.8	7 317.8
ასიგნება (ორგ. კოდი: 0202)	300	460.5	460.5	460.5	-

ადმინისტრაციის 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

(ლარი)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტური ხარჯი	სხვაობა ფაქტურსა და საკასო ხარჯებს შორის
1	2	3	4	5	6	7	8
მოთხრობის ასიგნება	14,260,500.0	21,578,276.9	20,880,163.5	20,220,927.0	20,220,700.7	-	-
ხარჯები	13,700,500.0	20,420,152.9	19,970,620.0	19,311,383.8	19,311,157.6	20,155,431.8	844,274.2
შრომის ანაზღაურება	3,847,700.0	3,847,700.0	3,815,438.2	3,501,625.6	3,501,625.6	3,501,625.6	-
თანამდებობრივი სარგო	-	-	2,359,864.9	2,347,135.6	2,347,135.6	2,347,135.6	-
პრემია	-	-	1,432,593.3	1,131,510.0	1,131,510.0	1,131,510.0	-
დანამატი	-	-	22,980.0	22,980.0	22,980.0	22,980.0	-
საქონელი და მომსახურება	9,342,300.0	10,777,476.0	10,391,967.9	10,050,533.9	10,050,533.9	10,298,973.5	248,439.7
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	683,269.9	640,573.2	640,573.2	640,573.2	-
მიწვლილებები	-	-	2,569,431.0	2,328,600.3	2,328,600.3	2,397,474.7	68,874.4
ოფისის ხარჯები	-	-	703,531.8	676,386.2	676,386.2	787,161.0	110,774.9
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	2,089,670.0	2,070,984.8	2,070,984.8	2,074,959.7	3,974.8
დბ. ინვენტ., უნიფ. და პირადი პიგ. საგნ. შეტენის ხარჯები	-	-	13,599.0	13,599.0	13,599.0	14,218.0	619.0
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატ. და მოვ.-შენახ. ხარჯები	-	-	662,660.6	650,586.8	650,586.8	740,352.0	89,765.2
სხვა დანარჩ. საქ. და მომსახურება	-	-	3,669,805.5	3,669,803.7	3,669,803.7	3,644,235.0	(25,568.7)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	593,127.4	593,127.4
სუბსიდია	450,500.0	386,028.0	358,400.0	354,589.3	354,363.0	352,403.0	(1,960.0)
სოციალური უზრუნველყოფა	60,000.0	854,278.9	854,277.2	854,098.3	854,098.3	852,913.1	(1,185.2)
სოციალური დახმარება ფულადი ფორმით	-	-	780,811.6	780,811.2	780,811.2	779,526.0	(1,285.2)
დამქ. მიერ გაწეული სოც. დახმ. ფულადი ფორმით	-	-	73,465.6	73,287.1	73,287.1	73,387.1	100.0
სხვადასხვა ხარჯები (მიმდინარე)	-	4,554,670.0	4,550,536.8	4,550,536.8	4,550,536.8	4,556,389.1	5,852.3
არაფინანსური აქტივები	560,000.0	685,223.0	436,642.5	436,642.5	436,642.5	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	430,797.2	430,797.2	430,797.2	-	-
ფასეულობები	-	-	5,845.4	5,845.4	5,845.4	-	-
ვალდებულებების კლება	-	472,901.0	472,901.0	472,900.6	472,900.6	-	-

ადმინისტრაციის მთლიანმა საკასო და ფაქტიურმა ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 19 311,2 ათასი და 20 155,4 ათასი ათასი ლარი, გადახრა 844,3 ათასი ლარის ოდენობით (ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასოზე) გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით, კერძოდ:

- საქონელი და მომსახურების მუხლიდან:
 - მივლინებებზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი აღემატება საკასოს 68,9 ათასი ლარით.
 - ოფისის; წარმომადგენლობითი; რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ფაქტიური ხარჯები აღემატება საკასო ხარჯებს 205,1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია წლის დასაწყისში არსებული მარაგების ხარჯვით;
 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებიდან გაწეული საკასო ხარჯი აღემატება ფაქტიურ ხარჯს 25,6 ათასი ლარით, რაც განხორციელდა მარაგების ზრდის ხარჯზე.
- სხვა ხარჯების მუხლიდან:
 - სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე გაწეული ფაქტიური ხარჯი აღემატება საკასო ხარჯს 5,9 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია წლის დასაწყისში არსებული დებიტორული დავალიანების შემცირებით.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულებისა და „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები ვალდებული არიან საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 მარტამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს წარუდგინონ ნაერთი წლიური ბუღალტრული ანგარიშგება დამტკიცებული ფორმების მიხედვით, თუმცა ადმინისტრაციის მიერ თვით ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემები წარდგენილია არა ნაერთი ფორმით არამედ ცალკე ორგანიზაციების მიხედვით, ხოლო ბალანსის დანართი ფორმა N6 (ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ) არც ერთ შემთხვევაში შევსებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში ავტოტრანსპორტის მომსახურეობაზე ხარჯები გაწეულია.

აღნიშნულით დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 74-ე მუხლი და „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

1.2. რეკომენდაცია:

აუდიტის ობიექტმა მომავალში უზრუნველყოს ბალანსისა და მისი დანართების სრულყოფილი შევსება და ფინანსთა სამინისტროში ნაერთი სახით წარდგენა.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ხაზინის მონაცემებით ადმინისტრაციას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 97 შემთხვევაში და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ერთ შემთხვევაში გამოეყო სულ 7 317.8 ათასი ლარი, რომელიც ორგანიზაციის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილდა შემდეგნაირად:

▽ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

(ლარი)

მუხლი	განკარგულების რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	გადარიცხული	გადახრა
არაფინანსური აქტივების ზრდა	2	98,223.00	98,222.60	0.40
საქონელი და მომსახურება	31	1,659,275.00	1,583,444.98	75,830.02
სოციალური უზრუნველყოფა	57	794,278.92	794,275.10	3.82
სხვა ხარჯები	7	4,514,000.00	4,514,000.00	
სულ	97	7,065,776.92	6,989,942.68	75,834.24

∇ მთავრობის სარეზერვო ფონდი

(ლარი)

მუხლი	განკარგულების რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	გადარიცხული	გადახრა
საქონელი და მომსახურება	1	252,000.00	243,173.89	8,826.11
სულ	1	252,000.00	243,173.89	8,826.11

სხვაობა განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილ თანხებსა და ფაქტიურად გადარიცხულ თანხებს შორის 84.7 ათასი ლარი ძირითადად გამოწვეულია დაფინანსების ცალკეული ადრესატების (ვის სასარგებლოდაც იქნა თანხა გამოყოფილი) მიერ თანხების არასრულად ათვისებით.

3. ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

3.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ადმინისტრაციის 2009 წლის წლიური ბალანსის (ფორმა N1) ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანების მუხლიდან „მოთხოვნები მივლინებით“ ანგარიში (N1421) 2009 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 3 087.5 ათას და 3 259.5 ათას ლარს, ხოლო ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებების მუხლში „ვალდებულებები მივლინებით“ ანგარიში (N3234) დავალიანება 2009 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისათვის შესაბამისად შეადგენდა 469.2 ათას და 637.3 ათას ლარს.

აუდიტებულ პერიოდში მიღებულია სულ 2 119.0 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები, მათ შორის: შესყიდულია 504.7 ათასი ლარის ძირითადი აქტივები (მანქანა დანადგარები და მოწყობილობები), 1 498.6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები და 5.8 ათასი ლარის ფასეულობა, ხოლო 109.2 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები (მანქანა დანადგარები და მოწყობილობები) და 0.6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები მიღებულია უსასყიდლოდ. ამავე პერიოდში გასულია სულ 3 488.2 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები, მათ შორის უსასყიდლოდ გადაცემულია 1 216.9 ათასი ლარის ძირითადი აქტივები (სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მანქანა-დანადგარები), წლის განმავლობაში გამოყენებულია 1 678.2 ათასი ლარის მატერიალური მარაგები, ხოლო ცვეთის სახით ძირითად აქტივებზე დარიცხულია 593.1 ათასი ლარი.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში . თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი ჯერენაშვილი



ხელმოწერა/თარიღი

მთავარი აუდიტორი:


გიორგი მელანაშვილი



ხელმოწერა/თარიღი

უფროსი აუდიტორი:

მურმან დარახველიძე



ხელმოწერა/თარიღი

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

აუდიტის პერიოდში, ადმინისტრაციაში პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ეკატერინე შარაშიძე	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი 2009 წლის 25 ნოემბრამდე.
თეიმურაზ ჯანაშია	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი 2009 წლის 25 ნოემბრიდან.
მიხეილ ნინუა	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
გრიგოლ ქურიძე	ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე საფინანსო სამმართველოს უფროსი
ლია ჯაშიაშვილი	სამმართველოს უფროსის მოადგილე(მთავარი ბუღალტერი) ეკონომიკური სამსახურის საფინანსო სამმართველო

აუდიტის პროცესში გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები:

- „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 13 თებერვლის N 60 ბრძანებულება;
- „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის N 562 ბრძანებულება;
- „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილება „2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობის დამტკიცების შესახებ“(ცვლილებებით)
- „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები(ცვლილებებით)
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია-„ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №364 „სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულება
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქცია.